



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 52-1

08/08/2019

**ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტის იმპორტის**

### **შეჩერების შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N426 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესისა და პირობების მე-5 მუხლის 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup> პუნქტების შესაბამისად,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. ნიდერლანდების სამეფოს „J A ter Maten Pluimveebedrijf B.V.“ Copernicusweg 6 3752 LZ BunschotenSpakenburg NETHERLANDS საწარმოდან იმპორტირებულ ფრინველის მექანიკურად განცალკევებულ ხორცში (სეს ესნ კოდი: 0207), ერთი წლის განმავლობაში სალმონელას (salmonella) ორჯერ აღმოჩენის გამო, 1 წლის ვადით შეჩერდეს ამ საწარმოდან „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით დამტკიცებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 0207 პოზიციის ყველა ქვესუბპოზიციით განსაზღვრული პროდუქტის იმპორტი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტი არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომელზეც ამ ბრძანების მიღებამდე:

- ა) შემოსავლების სამსახურის ან ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა;
- ბ) ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულია საერთაშორისო ვეტერინარული სერტიფიკატი და პროდუქტს გადმოკვეთილი აქვს ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარი.

### 3. დაევალოს:

- ა) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმირება აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ და საქართველოში ექსპორტზე უფლებამოსილ საწარმოთა შესაბამის ნუსხაში ცვლილების შეტანა;
- ბ) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, ნიდერლანდების სამეფოს კომპეტენტური ორგანოს ინფორმირება აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ;
- გ) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი), ამ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი იაკობაშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.